

# ხელისუფლება ფინანსურ კრიზისს ველარ დამალავს

გაზეთი “ახალი თაობა” – 22 დეკემბერი, № 353 , 2008

ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვეა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისია, საქართველოს ხელისუფლება ბოლო დღეებია უწყვეტად აცხადებს, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისია. როგორ ფიქრობთ, რატომ მაინცდამაინც ახლა დაიწყო ხელისუფლებამ ამაზე საუბარი და რამდენად სერიოზული კრიზისია?

– ჩვენი ხელისუფლება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა პრინციპით, “ბრმას ცოლი მოუკვდა და არ ვუთხრათო”. მაგრამ რაღაც დროის შემდეგ ბრმა ლოგინში მაინც იგრძნობს, რომ ცოლი აღარ ჰყავს. ამიტომ იძულებული არიან აუხსნან, სად არის მისი ცოლი და სიმართლეს ეტყვიან, მოკვდაო. დაახლოებით ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩვენი ხელისუფლება. ის დიდ ხნის განმავლობაში არ უმხელდა თავის მოსახლეობას იმას, რომ ქვეყანა კრიზისის პირას იყო. უფრო მეტიც, აღამაზებდნენ კიდევ სტატისტიკას ინფლაციის მაჩვენებლების ხელოვნური შემცირებით და ქმნიდნენ იმის ილუზიას, რომ ყველაფერი შესანიშნავადაა. ამას ემსახურებოდა მთელი მათი პიარ-მანქანა. მაგრამ უკვე ყველასთვის თვალსაჩინოა, რომ ხალხს სამსახურებიდან ითხოვენ, ბიზნესი ჩერდება. სახელმწიფო სამსახურებიდან რომ ითხოვენ თანამშრომლებს, ეს თავის დროზე რევოლუციის მონაპოვრადაც კი ჩაითვალა. ასე რომ, ყოველივე ამის ფონზე უკვე შეუძლებელია კრიზისის დამალვა. დღეს უკვე ის დროა, როცა ბრმაც კი გრძნობს, რომ ცოლი აღარა ჰყავს. ხელისუფლება იძულებულია აუხსნას მოსახლეობას, რომ კრიზისია. მაგრამ იმავდროულად თვალში ნაცრის შეყრა გრძელდება. თურმე ლატვიაში საბანკო სექტორი ჩამონგრეულა, ხოლო აზერბაიჯანში სამშენებლო ბიზნესი

განადგურებულა. არც ერთი და არც მეორე სიმართლეს არ შეესაბამება. სირთულეები ყველგან არის, მაგრამ ეს ინფორმაცია არასწორია. რაც მთავარია, თუ სადმე რამე ჩამოინგრა, ჩვენ ეს განა უნდა გვიხაროდეს? რადგან ჩვენთან ჯერ კიდევ რაღაც ბიზნესი ფეთქავს, ამიტომ ჩვენ უკეთესები ვართ? მოდით რა, ჩვენს პრობლემებზე ვიზრუნოთ. რაც შეხება იმას, რაც უკრაინაში ხდება, უკრაინა უბრალოდ სახელმწიფოდ არ არის ჩამოყალიბებული. იქ არის ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისთვის სამ პოლიტიკურ ლიდერს შორის და ამას ეწირება ქვეყანა. ასე, რომ იქ სულ სხვა პრობლემაა. კიდევ ერთი რამ: მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება სიმართლეს იძახის, ეს არ არის სრული სიმართლე: ხელისუფლება ყველაფერს გლობალურ ფინანსურ კრიზისს აბრალებს და ერთი წამითაც არ უნდა დაფიქრდეს იმ შეცდომების შესახებ, რომელიც უშუალოდ მთავრობას მიუძღვის მის მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, რამაც ქვეყანა კრიზისამდე მიიყვანა. ჩემი სიტყვები ლიტონი რომ არ იყოს, ამიტომ გაგახსენებთ შემდეგს. გახსოვთ, რამდენჯერ ვიძახდით, რომ მშენებლობის სექტორში კრიზისი იქნებო. უბრალოდ, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა და რუსეთის სამხედრო ოკუპაციამ ეს ყველაფერი დააჩქარა და დაამძიმა, თორემ სამშენებლო კრიზისი ისედაც იქნებოდა.

**– რატომ იყო გარდაუვალი სამშენებლო ბიზნესის კრიზისი?**

– იმიტომ, რომ ეს ბიზნესი ძირითადად “ჰაერით” ვაჭრობაზე იყო დაფუძნებული. ბანკები აბსოლუტურად არასერიოზულად უდგებოდნენ სამშენებლო ბიზნესს. თითქმის ყველა წამოწყებას აკრედიტებდნენ. ასევე გავიხსენოთ, რა ხდებოდა სამომხმარებლო კრედიტებზე. მაღაზიაში შესვლას ვერ მოასწრებდი, მაშინვე შემოგეხვეოდნენ სხვადასხვა ბანკის თანამშრომლები და მზად იყვნენ განვადება გაეფორმებინათ. ეს ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის ნიშანი კი არ იყო, ეს იყო ეკონომიკისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების გამოხატულება იყო. ეს ადრე თუ გვიან უნდა აფეთქებულიყო. უბრალოდ, გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა ეს ყველაფერი დააჩქარა. რაც შეეხება შეცდომებს, რომლებიც საქართველოს მთავრობის მიერ იყო დაშვებული, ეს იმის ბრალი იყო, რომ წლების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკას სათავეში უდგანან

არაპროფესიონალები. მათ ისიც კი არ იციან თუ როგორ ახსნან თუ რას აკეთებენ. ბოლო რამდენიმე დღეა პრეზიდენტი აკეთებს განცხადებებს ეკონომიკურ კრიზისზე, მაგრამ არა მხოლოდ ის უნდა აკეთებდეს ამას. წარმოიდგინეთ, არც დღევანდელ პარლამენტში და არც მთავრობაში ხელისუფლებას არ ჰყავს ისეთი პირი, რომელსაც შეუძლია საზოგადოებასთან ურთიერთობა და საუბარი ეკონომიკაზე პროფესიულ დონეზე. ხოლო პრეზიდენტს კი სურს ფონს გავიდეს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ორატორული ნიჭის ხარჯზე.

**– ანუ დღესაც, ასეთი კრიზისის ფონზე არასწორი შეფასებები ხდება საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ?**

– რა თქმა უნდა. კონკრეტული ვიქნები: ოქტომბრის თვის მდგომარეობით წლიური ინფლაცია გამოქვეყნდა 7% დონეზე, ხოლო ნოემბრის თვის მდგომარეობით წლიური ინფლაცია დაფიქსირდა 6,3% დონეზე. ეს ის ნოემბერია, 7 ნოემბერი რომ მოხდა ლართან მიმართებაში ბანკთაშორის ბირჟაზე, როცა ლარის კურსი 15%-ით დავარდა და ამან იმპორტულ საქონელზე ფასების ნახტომისებური ზრდა გამოიწვია. ამ დროს წლიურ ინფლაციას გვიქვეყნებენ 6,3%-ს. გეკითხებით, მთავრობა რა მართლა აღიარებს საკუთარ შეცდომებს? ასე რომ, თვითონ მთავრობის დამოკიდებულება ეკონომიკის მიმართ არის მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ ყველაფერი კარგად გაპიარდეს და ლამაზად გამოვიდეს.

**– ბატონო ლალო, ფაქტია, რომ დანიშენის დღიდან პრემიერი საუბრობს 18 თვიანი გეგმის შესრულებაზე, პენსიების და ხელფასების გაზრდაზე. რამდენად შესრულებადია ეს დაპირებები?**

– ალბათ მართალი არ იქნება ჩვენ ვილაპარაკოთ მგალობლიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე, მით უმეტეს იქედან გამომდინარე, რომ ის საკმაოდ შორს დგას ეკონომიკისგან. გულწრფელად მინდა მას კარგი ვუსურვო. მაგრამ, როცა მას ეკონომიკაზე უხდება საუბარი, ძალიან მეცოდება.

**– დღემდე ვერ გაერკვა პრემიერი რეალობაში?**

– ვერც გაერკვევა. ეს ასე ადვილი არ არის. ეკონომიკა რომ ერთ კვირაში ისწავლებოდეს, მეცნიერების დარგი არ იქნებოდა. მაგრამ პრობლემა

სხვა რამეშია. რა ეკონომისტობა სჭირდება იმას, რომ როცა ხელისუფლება საუბრობს 18 თვიან პროგრამაზე, ეს პროგრამა ბოლო-ბოლო ქაღალდზე დაწერილი მაინც უნდა არსებობდეს. როცა ხელისუფლება საუბრობს 50 თვიან პროგრამაზე, ქაღალდზე დატანილი ხომ უნდა არსებობდეს. სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის არცერთი ეს დოკუმენტი არ არის ცნობილი. ვისაც არ ვკითხე ამ დოკუმენტების შესახებ, ირკვევა, რომ ასეთი დოკუმენტი არ არის მოძიებადი, იმიტომ, რომ ის ბუნებაში არ არსებობს. ასე რომ, მთავრობა დიდი ხანია ხალხს აბოლებს 50 თვიან პროგრამაზე, 18 თვიან პროგრამაზე ისე, რომ დოკუმენტები არ არის. თუ მე ვცდები, გამოაქვეყნონ ისინი, აცნობონ საზოგადოებას თუ სად არის ეს დოკუმენტები და ვაღიარებ, რომ შემეშალა. როცა არარსებულ დოკუმენტზე ლაპარაკობ, შეიძლება იმაზე დასკვნების გაკეთება? ერთი რამით კი იყო გამორჩეული ლადო გურგენიძის მთავრობა, რომელმაც ქაღალდზე დატანებული 50 დღიანი გეგმა მაინც დადო, რომელიც, მართალია, 152 დღეზე იყო გაწერილი.

**– ბატონო ლადო, ჩვენ ვსაუბრობთ კრიზისზე და მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. პრეზიდენტის განცხადებებიდან კი ჩანდა, რომ თითქოს არც ისე ცუდად არის საქართველოში სიტუაცია. რამდენად სწორად ფასდება რეალობა?**

– მოდით ასე ვთქვათ: პრეზიდენტი გამოსვლის შედეგად უნდა ტოვებდეს შემდეგ შთაბეჭდილებას. პირველი – აუცილებლად უნდა იყოს ოპტიმისტური. ყველაზე მძიმე მდგომარეობაშიც კი არ უნდა კარგავდეს პრეზიდენტი ოპტიმიზმს. მაგრამ ეს ოპტიმიზმი რეალობას დაშორებული არ უნდა იყოს. ხოლო იმისათვის რომ რეალიზმიდან გამომდინარე ოპტიმისტი იყო, ამისთვის უნდა გყავდეს ის ხალხი, ვისაც ესმის საკითხი, რომ მიგამზადონ და მოგცენ ის შეხედულებები და წინადადებები, რომლითაც რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე იქნები ოპტიმისტი.

- რეალობას მოკლებულ განცხადებება აკეთებს მიხეილ სააკაშვილი?
- სამწუხაროდ, დიას. ეს მთელ სახელისუფლებო გუნდს ეხება.
- რითი ახსნით ბიუჯეტის 1 მლრდ ლარით შემცირებას და რისი მანიშნებელია ეს?

– ეს ადასტურებს ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებას. ჩვენ ვხედავთ, რომ საწარმოები იხურება, ბიზნესი ჩერდება. შესაბამისად გადასახადები ნაკლები შევა ბიუჯეტში.

**– სულ იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას ბენდუქიძე განაგებდა. არასწორი ეკონომიკური კურსია და არასწორად ხდება პრეზიდენტის ინფორმირება?**

– თქვენ თვლით, რომ ბენდუქიძე პროფესიონალია? მე რა შთაბეჭდილება მრჩება იცით? ჩვენს ხელისუფლებაში არსებობენ გარკვეული ლიდერები, რომლებიც ერთმანეთთან რომ დაჯდებიან, ერთმანეთს აგულიანებენ, აბოლებენ, ზღაპრებს უყვებიან. ჯერ ერთმანეთს აჯერებენ ამ ზღაპრებს და მერე გადიდგულებულები საჯაროდაც აკეთებენ შესაბამის განცხადებებს. გარკვეულმა გავლენიანმა პირებმა ხელისუფლებაში თავი მოიქციეს ასე ვთქვათ “ბროლის კოშკში” და იქედან გამოსვლა არ უნდათ. სამწუხარო ის არის, რომ კოშკი ბროლისაა და ის შეიძლება გატყდეს...

**– როგორ შეაფასებდით ეკონომიკის მინისტრად ლაშა ჟვანიას დანიშვნას და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებს იგივე ტყეების პრივატიზებასთან დაკავშირებით?**

– ჩემი მხრიდან არ იქნება ლამაზი ვილაპარაკო ეკონომიკის მინისტრზე, როცა ეკონომიკის სამინისტრო ქვეყანას აღარ გააჩნია. დღევანდელი ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ეკონომიკის სამინისტროს ფუნქციას არ ასრულებს. აქედან გამომდინარე, არ არსებულის ხელმძღვანელზე შეფასებების გაკეთება ძნელია. ეკონომიკის სამინისტროს ნგრევა ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე დაიწყო. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კი ბენდუქიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი მიზანი იყო ამ სამინისტროს გაუქმება. ბენდუქიძემ ამას 2005 წელს მიაღწია. შეიძლება ითქვას, რომ 2005 წლიდან ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს არ გააჩნია. ის მხოლოდ ფორმალურად არის. ლაშა ჟვანია იყო ფინანსთა მინისტრის მოადგილე ყველაზე ცუდ დროს, როცა ფინანსთა სამინისტრო ფაქტობრივად არ არსებობდა. ეს იყო რევოლუციის წინა პერიოდი, როცა ფინანსთა მინისტრი მოტოციკლეტით დაკატაობდა თბილისის შემოგარენში და

სამინისტრო უპატრონოდ იყო მიტოვებული. მართალია ლაშა ჟვანია მოტოციკლეტზე არავის შეუნიშნავს, მაგრამ მისი სამთავრობო წარსული მისი მინისტრის გამო არც თუ ისე დიდად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. როცა გადაწყდა, რომ ის უნდა გამხადარიყო ეკონომიკური განვითარების მინისტრი, მან რამოდენიმე კურიოზული განცხადებაც კი გააკეთა. ერთი – მიდიოდა სამინისტროში “დაუნდობელი მენეჯმენტის” გასატარებლად, რაც სევდანარევე ღიმილს იწვევს... მერე უცებ დაგეგმვის ნაცვლად დაგეგმარებაზე აღაპარაკდა, რაც აბსოლუტური უცოდინრობის მაჩვენებელია. ხოლო ის, რომ მან გადაწყვიტა რამოდენიმე ობიექტის პრივატიზაციის შეჩერება, ვფიქრობ, ეს არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ეს უფრო ხელისუფლების შიგნით არსებული დაპირისპირებაა, თუნდაც იმის დასამტკიცებლად მაინც, თუ პოლიტიკურად ვინ უფრო ძლიერია სახელისუფლო გუნდში. ალბათ ლაშა ჟვანიას უნდა გამოვიდეს კახა ბედუქიძის ზეგავლენიდან. თუ ის ამას მოახერხებს, ეს პლიუსად ჩათვლება. ერთი კია, რომ ადამიანურობის თვალსაზრისით ბატონი ლაშა ჩემგან დიდ პატივისცემას იმსახურებს, რამეთუ ისრაელში ელჩობისას მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩემი უახლოესი მეგობრისათვის ექიმებს სიცოცხლე შეენარჩუნებინათ...

**– ბევრი ფიქრობს, რომ სააკაშვილის განცხადებები აგონიაში მყოფი პრეზიდენტის განცხადებებია.**

– მე არ ვიტყვი, რომ პრეზიდენტი აგონიაშია. ის აქამდე საკმაოდ შორსაა, მაგრამ ერთი შემთხვევა გითხრათ: ეკონომიკასთან (და ალბათ არა მარტო მასთან) მიმართებაში ის აბსოლუტურად არაადეკვატურია.

**– პრეზიდენტმა თქვა, რომ ის არჩეულია 2013 წლამდე და ამ ქვეყანაში ვადამდე არჩევნები არ ჩატარდება.**

– მინდა შეგახსენოთ, რომ საკონსტიტუციო მექანიზმები ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშნისა იმდენად რთულია, რომ მე გულახდილად გეტყვით მიუხედავად იმისა, რომ ვისურვებდი ქვეყანაში იყოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ვერც კი წარმომიდგენია სამართლებრივად როგორ უნდა დაინიშნოს ის.

**– ანუ ტყუილი იმედი აქვს ოპოზიციას, რომ გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნები ჩატარდება?**

– რისი იმედი აქვს ოპოზიციას, არ ვიცი. მე პირადად ამის იმედი არ მაქვს. მე ვერ ვხედავ იმის მექანიზმს, როგორ შეიძლება არჩევნები ჩატარდეს.

**– ამ კუთხით დასავლეთის ჩარევას გამორიცხავთ?**

– რომ ჩაერიონ, რა, კონსტიტუცია დაგვირღვიონ და გადატრიალება მოახდინონ? მე ჩემს ქვეყანაში მორიგ რევოლუციას არ ვისურვებდი, იმიტომ, რომ საქართველო მანამ ვერ ჩამოყალიბდება სახელმწიფოდ, სანამ ერთი რეჟიმი მეორეთი ნორმალური არჩევნების გზით არ შეიცვლება. თუ ვინმე გეგმავს გადატრიალებით ხელისუფლების შეცვლას, გინდა მოსკოვი იყოს, გინდა ვაშინგტონი, ჩემთვის მიუღებელია. იმისათვის, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, ჩვენი კონსტიტუციით ერთდერთი გზა არის – უნდა მოხდეს დაპირისპირება პარლამენტსა და მთავრობას შორის ბიუჯეტთან დაკავშირებით, ან მთავრობისათვის ნდობის არ გამოცხადებით. ამ შემთხვევაში პრეზიდენტმა ან მთავრობა უნდა დაითხოვოს ან პარლამენტი უნდა დაშალოს. წარმოდგინეთ რამდენ ადამიანს რა ფულები დაახარჯვინეს მაჟორიტარი დეპუტატები რომ გამხდარიყვნენ. რომელი დეპუტატი მოჭრის იმ ტოტს, რომლითაც დეპუტატი გახდა. წარმოგიდგენიათ რომ პარლამენტი დაუპირისპირდეს მთავრობას? ფაქტია, რომ რეალურად არ დაუპირისპირდება. ახლა შევხედოთ პრეზიდენტს. არჩეულია ეს კაცი 2013 წლამდე. რა საფრთხე ემუქრება. სადმე ხედავთ ხალხის მასობრივ გამოსვლებს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით?

**– ანუ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია ვეღარ შეძლებს ასი ათასობით ადამიანის გამოყვანას ქუჩაში?**

– რა გზით? ტელევიზია მის ხელთ არ არის, ფინანსები მის ხელთ არ არის. არ ჩანს გამოკვეთილი ლიდერიც. 2003 და 2007 წლებში სამივე ეს ფაქტორი იყო. ამიტომ, როგორი სირთულებიც არ უნდა შეექმნას, დღევანდელი გადასახედიდან სააკაშვილი საკმაოდ კომფორტულად გრძნობს თავს.

**– ვადამდელი არჩევნებისთვის ფინანსები ვერ გამოიძებნება?**

– ფინანსები ერთი შეიძლება გაჩნდეს რუსეთიდან. ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე, რაც აქვს ქვეყანას. ამას ნამდვილად არ ვუსურვებდი ჩემს სამშობლოს. რუსეთისთვის ყველაზე კარგი და ჩვენთვის ყველაზე ცუდი სცენარი იცით რა იქნება? რომ საქართველოში მოხდეს გადატრიალება და სააკაშვილი და მისი მთავრობა იყოს ხელისუფლება დევნილობაში. შემდეგ აქ ჩატარდეს არჩევნები და საზოგადოება იყოს ორად გახლეჩილი. ანუ იგივე სცენარი განმეორდეს, რაც გამსახურდიასთან მიმართებაში განახორციელეს.

– რამდენად შესწევს უნარი ოპოზიციას აიძულოს ხელისუფლება ვადამდელი არჩევნები დანიშნოს?

– რაც შეეხება ოპოზიციის ქმედებებს, აქ ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარი რაღაცეები ხდება. უცებ დაიწყო ოპოზიციურმა ძალებმა აქტიურობა, თითქოს სულ ცოტა 2010 წელს მაინც იყოს საპარლამენტო არჩევნები. შევხედოთ რა ხდება. ნინო ბურჯანაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ჯრ ფონდი უნდა შეექმნა და ფონდით უნდა ემუშავა, ფონდს ჯერ არაფერი გაუკეთებია, საზოგადოებისთვის ერთი სერიოზული პროექტიც არ წარუდგენია, რომ აჩქარდა და უკვე პარტია შექმნა. გავხედოთ ზურაბ ნოღაიდელს, ამანაც საკმაოდ დაჩქარებული ტემპით დაიწყო პარტიის შექმნა. დაიწყო ეროსი კიწმარიშვილის გააქტიურება, ხოლო ირაკლი ალასანია კი გადადგა. ყველაზე თვალსაჩინო ის არის, რომ არც რესპუბლიკელები იძახიან თავის პარტიაზე უარს და არც ახალი მემარჯვენეები, მაგრამ სასწრაფოდ ქმნიან კოალიციას. კოალიცია, როგორც წესი, არჩევნების წინ იქმნება ხოლმე. თუ ერთიანდებიან, ერთი პარტია უნდა იყოს. მაგრამ ისინი ქმნიან კოალიციას, სადაც პოტენციურ ლიდერად ირაკლი ალასანია მოიაზრება. რა ხდება, რატომ აჩქარდა ოპოზიცია? საპარლამენტო არჩევნების ქმედითი კონსტიტუციური მექანიზმი ხომ არ არსებობს.

**შორენა კოწოწაშვილი**